ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2876506

ნომერი: AR1445392

თარიღი : 30.09.2016

გაცემის თარიღი : 06.10.2016

გაცნობის თარიღი : 06.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , (ყოფ. კრონშტანტის) , N 69 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ უმანკოშვილი პ/ნ 01001033615
- დიდი დიღომი,მ-3 მკრ.რ-ნი,კორპ.17.ბ.5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას საკითხის სრულყოფილად განხილვისა. იმისათვის, რომ სამსახურმა იმჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“-ს ველში დამატებით აიტვირთოს შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათები.
- „ფაილის მიმაგრება“-ს ველში აიტვირთოს მიწის ნაკვთის საკადასტრო გეგმა, საპროექტო სარეკლამო კონსტრუქციის და მოსაპირკეთებელი ტერიტორიის კონტურის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით.
- ვინაიდან საპროექტო დავალებით ასევე გათვალისწინებულია კონდენციონერის განთავსება, საჭიროა აღნიშნულტან დაკავშირებით ინფორმაცია დაფიქსირდეს მოთხოვნის ტქესტურ ნაწილში. გაითვალისწინეთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ- მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა მოხდეს საპროექტო კონდენციონერის შეფუთვა/შენიღბვა შენობასთან მისადაგებული დეკორატიული ელემენტებით და შესაბამისად ატვირთულ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მასალების მითითებით).
- ვინაიდან სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბესტი ჯგუფი“, საჭიროა „არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება“-ს ველში აიტვირთოს აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორის, მალხაზ კოხრეიძის მიერ თქვენ სახელზე გაცემული მინდობილობა. ასევე შესაძლებელია აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
- გარდა ამისა, ვინაიდან ტერიტორიის მოპირკეთება და სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება დაგეგმილია მიწის ნაკვთის საკადასტრო საზღვრებში, საჭიროა წარმოადგინოთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით.
`ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge